# DUCATO




FIAT PROFESSIONAL

*სტრადა მოტორსი, FIAT-ის ექსკლუზიური დილერი საქართველოში, 2010 წლიდან წარმოგიდგენთ FIAT Professional მიმართულებას.*

FIAT მსოფლიოში აღიარებული იტალიური საავტომობილო ბრენდია, რომელსაც თავისი 100 წლიანი ისტორიის მანძილზე მოპოვებული აქვს არაერთი საერთაშორისო ტიტული.

FIAT Professional-ის სამოდელო რიგი სრულად პასუხობს ნებისმიერი მოცულობის და სპეციფიკის მქონე ბიზნესის მოთხოვნებს. ბრენდის მთავარი უპირატესობებია: ხარისხი, საიმედოობა, დიზაინი, უახლესი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, ეკონომიურობა და ფლობის დაბალი ღირებულება.

FIAT Professional წარმოგიდგენთ სამგზავრო და სატვირთო ავტომობილების მრავალფეროვან არჩევანს, რომელიც მორგებულია ნებისმიერი სახის მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესზე.

ჩვენი მისია  -  გავხადოთ თქვენი საქმიანობა უფრო სწრაფი, მოქნილი, კომფორტული და პროდუქტიული.



## FIAT Professional - საქართველო

FIAT-ის ცენტრი 10 წელია წარმატებით თანამშრომლობს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორთან, ჩვენი მომხმარებლები არიან: სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, ნაბეღლავი, საქართველოს ფოსტა, ნატახტარი, მარნეულის სასურსათო ქარხანა, ლიბერთი ბანკი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თელასი, ყაზტრანსგაზი, ისი პარი, ამბასადორი, GULF, Socar, Fedex, DHL, Lavazza და სხვა.

FIAT სანდო პარტნიორია ყველა იმ ბიზნესისთვის, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია  ხარისხიანი ტრანსპორტირება ნაკლები დანახარჯებით.




# ახალი თაობის ტექნოლოგიები

მსოფლიო სწრაფად ვითარდება, შესაბამისად ეფექტურობა, ახალი ტექნოლოგიები, საიმედოობა და გამძლეობა არის პრიორიტეტი, თუმცა მოქნილობა, კომფორტი და სტილი ასევე აუცილებელი კომპონენტებია. Ducato-ს ახალი სატვირთო ფურგონი, იდეალური ავტომობილია ბიზნესის უწყვეტი მუშაობისთვის. მარტივად მართვადი და უსაფრთხო ახალი Ducato მზად არის მოერგოს თქვენს მოთხოვნებს და განახორციელოს ნებისმიერი ტვირთის ტრანსპორტირება.

# ახალი ტექნოლოგიების ეფექტურობა



ახალი Ducato ნებისმიერი ტიპის სამუშაოს მარტივად და ეფექტურად ერგება. FIAT-ის კომერციული ხაზი მრავალფეროვან არჩევანს გთავაზობთ სატვირთო ფურგონების კატეგორიაში. Ducato ეხმარება ბიზნესს მაქსიმალურად ეფექტურად შეასრულოს ნებისმიერი ტვირთის ტრანსპორტირება. მოცულობითი მართკუთხა სატვირთო ფართი საშუალებას გაძლევთ სრულად აითვისოთ სატვირთო განყოფილება. დამატებითი ოპციის არჩევისას უკანა კარი იხსნება $270^0$ - ით, Ducato-ს მოსახერხებელი პლატფორმა კი მაქსიმალურად ამარტივებს დატვირთავს / გადმოტვირთვის პროცესს.




**დატვირთვა**

- სრული მასა 2.6 ტ-დან 4.25 ტ-მდე.
- ტვირთამწეობა 1000 კგ-დან 2100 კგ-მდე
- სატვირთო ფართის მოცულობა 8 მ$^3$-დან 17 მ$^3$-მდე

**ძრავა**

- 130 MultiJet

**ვერსიები**

Light
Maxi







## ვერსიები

ახალი სატვირთო Ducato Light ვერსია წარმოდგენილია სრული მასის 5 კონფიგურაციით: 2600კგ-დან 3500 კგ-მდე, ხოლო Maxi ვერსია 3 კონფიგურაციით 3500კგ-დან 4250კგ-მდე. Ducato გთავაზობთ სიგრძის 4 და სიმაღლის 3 ვარიაციას.

| ავტომობილის გაბარიტული ზომები (მმ) | 8 L1H1 | 9.5 L1H2 | 10 L2H1 | 11.5 L2H2 | 13 L3H2 | 15 L3H3 | 15 L4H2 | 17 L4H3 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიგრძე | 4963 | 4963 | 5413 | 5413 | 5998 | 5998 | 6363 | 6363 |
| სიგანე | 2050 | 2050 | 2050 | 2050 | 2050 | 2050 | 2050 | 2050 |
| სიმაღლე | 2254 | 2522 | 2254 | 2524 | 2524 | 2774 | 2534 | 2779 |
| საწვავის მოხმარება (ლ/100კმ-ზე) 2.3 130HP EURO 5+ | 6.4 | 7.0 | 7.0 | 7.0 | 7.0 | 7.1 | 7.1 | 7.3 |

მოცულობითი გაბარიტების გათვალისწინებით ახალი Ducato-ს შესაძლებლობები და პრაქტიკულობა კიდევ უფრო დაიხვეწა. სატვირთო განყოფილების ფორმა საშუალებას გაძლევთ გამოიყენოთ ყოველი სანტიმეტრი. უკანა კარი იღება 270°, შესაბამისად მარტივად შესაძლებელია ევროპალეტების განთავსება.

მსგავსი მრავალფეროვანი არჩევანი გაძლევთ მაქსიმალური მოქნილების გარანტიას. სატვირთო განყოფილებაში განთავსებულია ტვირთის ფიქსატორები, რაც უზრუნველყოფილს ტვირთის უსაფრთხო ტრანსპორტირებას.

| სატვირთო ფართის ზომები (მმ) | | 8 L1H1 | 9.5 L1H2 | 10 L2H1 | 11.5 L2H2 | 13 L3H2 | 15 L3H3 | 15 L4H2 | 17 L4H3 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A=სიგრძე | | 2670 | 2670 | 3120 | 3120 | 3705 | 3705 | 4070 | 4070 |
| B=სიგანე | | 1870 | 1870 | 1870 | 1870 | 1870 | 1870 | 1870 | 1870 |
| C=სიმაღლე | | 1662 | 1932 | 1662 | 1932 | 1932 | 2172 | 1932 | 2172 |
| D=საბურავის თაღებს შორის მანძილი | | 1422 | 1422 | 1422 | 1422 | 1422 | 1422 | 1422 | 1422 |
| E=დატვირთვის სიმაღლე | | 535 | 550 | 535 | 550 | 535 | 550 | 550 | 550 |
| უკანა კარი | სიგანე | 1562 | 1562 | 1562 | 1562 | 1562 | 1562 | 1562 | 1562 |
| | სიმაღლე | 1520 | 1790 | 1520 | 1790 | 1790 | 2030 | 1790 | 2030 |
| გვერდითა კარი | სიგანე | 1075 | 1075 | 1250 | 1250 | 1250 | 1250 | 1250 | 1250 |
| | სიმაღლე | 1485 | 1485 | 1485 | 1755 | 1755 | 1755 | 1755 | 1755 |






## ძრავები

ახალი თაობის MultiJet დიზელის ძრავი ეფექტურია საწვავის მოხმარების და ემისიის თვალსაზრისით. სტანდარტულ აღჭურვაშია 6 საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, ხოლო დამატებითი ოპციის სახით შესაძლებელია Comfort-Matic რობოტიზირებული კოლოფის შერჩევა. Comfort-Matic გადაცემათა კოლოფით შესაძლებელია ავტომობილის მართვა როგორც ავტომატურ რეჟიმში, ასევე მექანიკურად შერჩეული სიჩქარით.




### 130 MultiJet




**130 MultiJet**

**მოცულობა სმ³:** 2287

**ტიპი:** დიზელი, 4 ცილინდრი მწკრივში.

პირდაპირი შეფრქვევა

MultiJet Common Rail.

ტურბო და შიდა გაგრილებით

**მაქს. სიმძლავრე კვტ. (ცძ) ბრ-წთ.:** 96 (130) 3600

**მაბრუნებელი მომენტი:** ნმ/ბრ-წთ. 320/1800-2500

ემისიის სტანდარტი Euro 5+

- - - ბრუნი(ნმ)

— ბრ.წთ.






## ხარისხი

38 წლიანი წარმატებული გამოცდილებით იტალიური Ducato გთავაზობთ ევროპული ხარისხის სტანდარტს. გაუმჯობესებულია უსაფრთხოების სისტემები, შემცირებულია ხმაურის დონე, გაძლიერებულია სამუხრუჭე სისტემა, გაუმჯობესებულია სატერფულები, რაც ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს მძღოლისგან. ავტომობილი გათვლილია დატვირთული ექსპლუატაციის პირობებისთვის.

Ducato-ს ელექტროსისტემა მნიშვნელოვნად ზრდის ნათურების მუშაობის ხანგრძლივობას და ზრუნავს მასზე შეერთებულ მოწყობილობებზე pulse width -modulation ტექნოლოგიის მეშვეობით. Solex - ის ახალი ტექნოლოგიური საქარე მინა ამცირებს შუქის სიმკვეთრეს და ტემპერატურას მძღოლის კაბინაში.

ყველა ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სხვა დამატებითი სიახლეები, მეტყველებს იმაზე, რომ ახალი Ducato ფასისა და ხარისხის შეფარდებით კატეგორიაში მოწინავე ადგილზეა, რაც მას უფრო ეფექტურს და კონკურენტუნარიანს ხდის.

# ახალი თაობის ტექნოლოგია




Ducato-ს უამრავი ტექნოლოგიური ინოვაციის მეშვეობით გამარტივებულია ავტომობილის მართვის პროცესი.







## მულტიმედია

მნიშვნელოვანია, რომ მძღოლს ჰქონდეს მარტივი წვდომა მანქანის მართვის ღილაკებთან. ავტომობილში ყველა საჭირო მოწყობილობა და უსაფრთხოების ასისტენტი მარტივად ხელმისაწვდომია მძღოლის სავარძლიდან. მულტიმედია მოწყობილობა აღჭურვილია Bluetooth® ტექნოლოგიით. უკანა სვლის დროს სენსორულ მონიტორზე გამოდის უკანა ხედის გამოსახულება.

ხმის ამოცნობის სისტემის ინტერფეისი მართავს ზარებს და SMS-ებს, Bluetooth® აუდიო სტრიმინგი კი მუსიკის უკაბელოდ მოსმენის საშუალებას იძლევა. Uconnect™ სისტემაში ინტეგრირებულია Tom Tom-ის ნავიგატორი. IQ Routes აპლიკაციის მეშვეობით თქვენ შეძლებთ უმოკლესი მარშრუტის შესახებ ინფორმაციის მიღებას დანიშნულების წერტილამდე.

AUX და USB პორტების გამოყენებით, რომლებიც განთავსებულია ჭიქის დამჭერთან, შესაძლებელია სხვადასხვა მოწყობილობების დატენვა.




მულტიფუნქციური მხარდაჭერა. დამატებითი აღჭურვის შერჩევისას ავტომობილზე შესაძლებელია პლანშეტის ან ტელეფონის სამაგრის განთავსება.







**უკანა ხედვის კამერა.**

უკანა სვლის დროს ფერად მონიტორზე გამოდის უკანა ხედის გამოსახულება, რაც ამარტივებს უკანა სვლით უსაფრთხო მოძრაობის განხორციელებას. სალონის მონიტორის დახმარებით მარტივად გააკონტროლებთ ჩატვირთვის და გადმოტვირთვის პროცედურას სატვირთო განყოფილების უკანა კარის გახსნისთანავე.



**მულტიფუნქციური მხარდაჭერა.**

**დამატებით აღჭურვაში სიგარეტის სანთებელას ბუდის მაგივრად შესაძლებელია USB პორტის დამატება**





# ახალი თაობის უსაფრთხოება













Traction + მოჭიდების კონტროლის ინოვაციური სისტემა აუმჯობესებს მოჭიდებას გზის სავალ ზედაპირთან. ნებისმიერ საბურავზე მოჭიდების შემცირებისას დატვირთვა გადადის იმ საბურავზე, რომელზეც მოჭიდება მეტია. მოჭიდების კონტროლის დახმარებით გაუმჯობესებულია ავტომობილის მართვადობა, საკურსო სვლის კონტროლი და სტაბილურობა.



Hill Descent Control საშუალებას გაძლევთ იმოძრაოთ 50% დახრილობის მქონე დაღმართზე მუხრუჭისა და აქსელერაციის სატერფულის გამოყენების გარეშე. აღნიშნული ფუნქცია საშუალებას გაძლევთ იყოთ კონცენტრირებულები გზის სავალ ზედაპირზე.



Ducato არის უსაფრთხო და დაცული ტრანსპორტირების გარანტი, ავტომობილი აღჭურვილია უსაფრთხოების უახლესი ტექნოლოგიებით.

LANE DEPARTURE WARNING System (LDWS) მოძრაობის ზოლის კვეთის მაფრთხილებელი სისტემა გეხმარებათ ცუდი ხილვადობის პირობებში შეინარჩუნოთ თქვეს ზოლში მოძრაობა. სისტემა ხმოვანი სიგნალით გატყობინებთ მოძრაობის ზოლის კვეთას.



TRAFFIC SIGNS RECOGNITION (TSR) სალონის კამერის გამოყენებით TSR სისტემა ეხმარება მძღოლს იმოძრაოს დასაშვები სიჩქარით, სისტემა ახდენს საგზაო ნიშნების ამოცნობას და ინფორმაცია გამოაქვს მონიტორზე.





High Beam Recognition ფუნქცია მართავს ფარების ჩართვა-გამორთვას. თავიდან აგაცილებთ მოპირდაპირე ზოლში შემხვედრი ავტომობილის მძღოლის დაბრმავებას შორი დისტანციის ფარის ახლო დისტანციაზე გადმორთვით.





წვიმის და ბინდის სენსორი. წვიმის სენსორი ავტომატურად ააქტიურებს საქარე მინის საწმენდებს და არეგულირებს მათი მოძრაობის სიჩქარეს. ბინდის სენსორი კი ავტომატურად რთავს სანისლე ფარებს საჭიროების შემთხვევაში.



# ახალი თაობის დიზაინი

ახალი Ducato დახვეწილი, ინოვაციური და ამავდროულად ფუნქციონალური დიზაინით. პატარა დეტალები ქმნიან დიდ უპირატესობას.







**LED მაშუქები**

**4 სექციისგან შემდგარი წინა ნაწილი**

**დამცავი ფირფიტები**

წინა საბურავიდან მანქანის წინა ნაწილამდე მინიმალური მანძილია, ასევე კომპაქტურია გვერდითა ბამპერიც, შესაბამისად ავტომობილი მაქსიმალურად დაცული და მყარია შეჯახების ტესტებში. (საუკეთესო თავის კლასში).





LED ფარები (მოთხოვნით) განლაგებულია დაცულ ადგილას და 40%-ით მეტი შუქის ეფექტურობით გამოირჩევა.



ახალი ბამპერი სამი კომპონენტისაგან შედგება, თითოეული ნაწილის შეკვეთა შესაძლებელია ინდივიდუალურად, რაც ხარჯებს ეფექტურად ამცირებს.









**„ტექნო“ წინა პანელი**

Ducato-ს წინა პანელზე განთავსებული მართვის თუ კონტროლის ღილაკები მარტივად ხელმისაწვდომია მძღოლი-სთვის. ახალი ინტერიერის სტილი და დახვეწილობა იდეალურად აერთიანებს კომფორტს და პრაქტიკულობას.

**კლასიკური წინა პანელი**








მაცივრის განყოფილება კონდიციონერის მუშაობისას ინარჩუნებს იდეალურ სიგრილეს. წინა პანელზე განთავსებულია უამრავი სათავსო სივრცე ნივთების შესანახად.





ავტომობილის მართვისას საინფორმაციო მონიტორზე გამოდის ყველა საჭირო ინფორმაცია.



საინფორმაციო მონიტორი ქრომის ელემენტებით.



მძღოლის სექციაში განთავსებულია ორადგილიანი მგზავრის სავარძელი ცენტრალური ნაწილის კეცვის ფუნქციით, დაკეცილ მდგომარეობაში სავარძლის გამოყენება შესაძლებელია სამაგიდედ ან რაიმე ნივთების თუ დოკუმენტების განსათავსებლად. ორივე სავარძელი აღჭურვილია თავის ინდივიდუალური მისაყრდნობებით და 3 წერტილიანი უსაფრთხოების ღვედებით.




ტახოგრაფის მოთხოვნა შესაძლებელია სურვილისამებრ





ხელმისაწვდომია სათავსო განყოფილება სავარძლის ქვემოთ.



Comfort-Matic რობოტიზებული გადაცემათა კოლოფი გთავაზობთ მაქსიმალურ კომფორტს, საწვავის ეკონომიას და ნაკლებ ემისიას ავტომობილით ქალაქის პირობებში მოძრაობისას. სისტემას აქვს ორი რეჟიმი: შერჩევითი სიჩქარის ან სრულიად ავტომატური, რომელსაც ირჩევთ თქვენთვის სასურველი მართვის სტილის შესაბამისად.



# დამატებითი აღჭურვილობა

ახალი Ducato არის ეფექტური, პრაქტიკული, კომფორტული და ფუნქციონალური ავტომობილი. დამატებითი აღჭურვის სახით შეგიძლიათ შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი ოპციები.

ზამბარიანი სავარძელი. ზამბარებისა და ამორტიზატორების სისტემა აფერხებს სხეულის მოძრაობას, რაც სავარძელს განსაკუთრებით კომფორტულს ხდის თუნდაც ცუდ რელიეფებზე მგზავრობისას. რყევადობის შემცირება ხდება მძღოლის წონის გათვალისწინებით (40 კგ-დან 130 კგ-მდე).






Webasto. პროგრამირებადი Thermo Top "C" Webasto გამათბობლის მეშვეობით, შესაძლებელია ავტომობილის გათბობა გამგზავრობამდე 24 საათით ადრე. მას ასევე შეუძლია მომენტალური ფუნქციონირება, სალონის, ძრავისა და ფანჯრების გათბობა. სისტემა მთლიანად დამოუკიდებელია ავტომობილის ძრავისგან.

სავარძლების გათბობა. აღნიშნული ფუნქცია განსაკუთრებით პრაქტიკულია ზამთრის ცივ კლიმატურ პირობებში მგზავრობის დროს.



კლიმატ-კონტროლის ავტომატური სისტემა. ცენტრალური კონსოლის ეკრანზე ჩანს ინფორმაცია ტემპერატურის შესახებ. ავტომატური კლიმატ-კონტროლის სისტემა აკონტროლებს სალონის ტემპერატურას, ჰაერის ნაკადის სიმძლავრეს, ჰაერის განაწილებას, კომპრესორის აქტივაციას და ჰაერის რეცირკულაციას. სალონის ტემპერატურა შენარჩუნებულია სტაბილურად, თუნდაც გარე ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის შემთხვევაში.



ამრეკლი საქარე მინა. (მოთხოვნის შემთხვევაში) Solex-ის ორმაგი საქარე მინა შეიცავს მეტალის ოქსიდებს, რაც განსაკუთრებით ამცირებს ულტრაიისფერი სხივების სალონში შეღწევას და აუმჯობესებს ინტერიერის კომფორტს. მინა ასევე ხელს უწყობს მზიან დღეებში კლიმატ-კონტროლის დატვირთულობის შემცირებას და შესაბამისად უზრუნველყოფს საწვავის ეკონომიურ მოხმარებას.

იატაკის სპეციალური საფარი. (მოთხოვნის შემთხვევაში) საბარგულის იატაკი შესაძლებელია შეიფუთოს სპეციალური საფარით, რომელზეც განთავსებულია ფიქსატორები ტვირთის ფიქსაციისთვის.

საბარგულის კედლების სპეციალური საფარი. კედლები ასევე შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ შეიფუთოს სპეციალური საფარით.





# დამატებითი აღჭურვილობა

საბარგულის კარის გახსნა 270°-ით. კარის 270 ° გახსნის მეშვეობით, დატვირთვისას და გადმოტვირთვისას გარანტირებულია მაქსიმალური პრაქტიკულობა, კარის მოძრაობა შეიძლება დაიბლოკოს სამ სხვადასხვა პოზიციაში.







**ტიხრები.**
საბარგულის და სალონის გაყოფა შესაძლებელია 2 ტიპის პანელის მეშვეობით. ასევე ხელმისაწვდომია ლითონის ბადე კონსტრუქცია, რომელიც მძღოლს იცავს ტვირთის სალონში გადმოვარდნისგან მკვეთრი დამუხრუჭების შემთხვევაში.







პორტალური მაშუქი საბარგო განყოფილებაში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მაშუქის მოხსნა და მისი პორტალური გამოყენება. თავის ადგილზე დამაგრებისას, სანათი ავტომატურად დაიტენება.

**ალუმინის საბარგული**







**ტვირთის ბლოკირების აქსესუარები.**

**ალუმინის დასაკეცი კიბე.**



# MOPAR®-ის ორიგინალი აქსესუარები

ორიგინალი აქსესუარების მრავალფეროვანი არჩევანი Mopar®- ისგან.

ტვირთის სასრიალო ავტომობილის სახურავზე საქონლის დატვირთვის და გადმოტვირთვის გასაადვილებლად.

FIAT PROFESSIONAL MOPAR

More care for your car





**რეზინის ფეხსაგებები**



ქარის დეფლექტორები, საშუალებას გაძლევთ იმგზავროთ ჩაწეული ფანჯრებით.






**საბურავის დისკის ცენტრალური ხუფები FIAT-ის ლოგოთი.**

# ინტერიერი



157 რუხი ქსოვილი



157 რუხი ქსოვილი თავსაყუდელით (OPT. 188)



297 ყავისფერი ქსოვილი



266 რუხი ტყავის შემცველი



15"/16"



15"
Opt. 878



16"
Opt. 878

Opt. 108



15" Ducato

Opt. 431



16" Ducato

Opt. 208



16" Ducato Maxi

Opt. 432



16" Ducato Maxi

ალუმინის დისკები

| ტექნიკური სპეციფიკაცია | 2.0 Multijet | 2.3 Multijet | 2.3 Multijet | 3.0 Multijet |
|---|---|---|---|---|
| ვერსია | დიზელი | დიზელი | დიზელი | დიზელი |
| ცილინდრების რაოდენობა | 4 | 4 | 4 | 4 |
| ძრავის მოცულობა (სმ³) | 1,956 | 2,287 | 2,287 | 2,999 |
| მაქს.სიმძლავრე(კვტ/ცძ/ბრუნი წუთში) | 85/115/3700 | 96/130/3600 | 109/148/3600 | 130/177/3500 |
| მაქს.სიჩქარე(კმ/სთ) | 138-148 | 145-155 | 152-161 | 155-171 |
| ამძრავი თვლები | წინა | წინა | წინა | წინა |
| გადაცემათა კოლოფი | მექანიკური 5+1 | მექანიკური 6+1 | მექანიკური 6+1 | მექანიკური 6+1 |
| საწვავის ავზი (ლ) | 90 | 90 | 90 | 90 |
| საწვავის მოხმარება 100კმ-ზე (ლ)* | 6,3-6,8 | 5,8- 7,1 | 6,2- 7,1 | 7,7-8,9 |

* საწვავის ხარჯი იცვლება სხვადასახვა გარემოებებით



# ფერები

199 წითელი



549 თეთრი



455 მუქი ლურჯი



479 ლურჯი



453 ცისფერი



506 ოქროსფერი



611 ნაცრისფერი



632 შავი



691 გრანიტისფერი



აკ. ბელიაშვილის ქ. 191
(+995 32) 2 307 307 / sales@fiat.ge
www.fiatprofessional.ge